ხელშეკრულება №77/1

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

28 ივლისი 2015 წელი

ჩოხატაური

ერთის მხრივ ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური „სხივი"-ს სახელით **დირექტორი მერაბ დოლიძე** (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ **ინდივიდუალური მეწარმე „ავთანდილ ლომთათიძე"** (შემდგომში მიმწოდებელი) ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. მომსახურების სახე

1. ახალი ნაგავმზიდის რეცხვა

(კლასიფიკატორის **CPV** კოდი 50112300)

შესყიდვის მეთოდი: **გამარტივებული შესყიდვა**

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა მოიცავდეს მიმწოდებლისათვის მომქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

3. მომსახურების მიწოდების ვადები.

3.1 მომსახურების მიწოდების საბოლოო ვადაა **2015 წლის 30 სექტემბერი.**

3.2 მომსახურების მიწოდების ადგილია ჩოხატაური

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2015 წლის 30 სექტემბერი.**

5. მომსახურების ხარისხი

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მომსახურება იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში.

6. ანგარიშწორების ფორმები, გრაფიკი, ვადები.

6.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშწორება განხორციელდება ლარებში.

6.2 ანგარიშწორების ფორმა უნაღდო.

6.3 ანგარიშწორება განხორციელდეს შესრულებულ მომსახურებაზე წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი) საფუძველზე, არანაკლებ 10 დღის ვადაში

7. მხარეთა უფლება მოვალეობანი.

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს უფლებამოსილი პირის მეშვეობით განახორიელოს კონტროლი და ზედამხედველობა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე: -საქართველოს კანონის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

7.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს მოითხოვოს „შემსყიდველის"-აგან მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში.

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი გადაცილებული კალენდარული დღისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება პირასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,5% ოდენობით.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. აღნიშნულ შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 8% ოდენობით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის აუცილებლობა.

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის წერილობითი შეთანხმების გარეშე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთავლისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვა ხე;ლშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორმა ვალდებულია წერილობით შეტყობინების მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. ფორს მაჟორი.

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე. თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით როგორიც წყალდიდობაა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები. აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს მაჟორული სისტემის დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წარმოშობილი დავები და აზრთა სხვადასხვაობა გადაწყვეტილი იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმებების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებმა მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“ ---------- მ. დოლიძე

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
კომუნალური სამსახური „სხივი“
საინდ/კოდი 242008796
მის: კოსტავას I შეს. № 11
ს.ს. ლიბერთი ბანკის
ჩოხატაურის ფილიალი
საინდ. კოდი LIBERTI22
ანგ. GE65LB0115152725113000

„მიმწოდებელი“ ---------- ა. ლომთათიძე

ი/მ „ავთანდილ ლომთათიძე~
ს/კ 46001007476